წლიწადი მეორე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ფასი 5000 მანეთი.

გაზეთი გამოდის ყოველდღიურათ მასალები მიიღება რედაქც. 9—3 საათ. ყოველ დღე. რედაქ. მისამ.: საპიტრ. ქ. № 30. პირველი სართული.

ხუთ. 28 სექტემბერი. 1922 წ.

№ 104 ქართული დივიზიის პოლიტგანყოფილების ყოველდღიური ორგანო № 104

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზღვარგარეთის დღევანდელი მდგომარეობა.

ყველა კაპიტალისტური სახელმწიფო, დიდი იქნება ის თუ პატარა, ცდილობს რაც შეიძლება მეტი ქვეყნები და ხალხი დაიპყროს, რაც შეიძლება უფრო გააფართოვოს თავისი საზღვრები, რომ თავისი ჰეგემონია ყველაზე და ყველგან გაამტკიცოს, გაამეფოს,

არას დაგიდევს ის, არავითარ სამართლიანობის პრინციპს, ან მის მიერ დაპყრობილ ერების სუვერენობის და თავისუფლების უღვთოდ ფეხქვეშ გათელას; მას სურს მხოლოდ ბატონობა, მეფობა და არც გამტყუნება, რადგან ასეთია მისი ბუნება, მისი იმპერიალისტური პოლიტიკა და მისწრაფება.

სწორედ ამ მიზეზით იყო, რომ პატარა საბერძნეთიც, რომელმაც მოინდომა ერთბაშად გადიდკაცება, გაბერვა, მიემხრო ანტანტის იმპერიალისტებს მსოფლიო ომში (რასაკვირველია მათივე თხოვნით) და იმ იმედით, რომ ოსმალეთის დამარცხებით შეიერთებდა მის მთელ რიგ პროვინციებს და დაიწყებდა მათზე ბატონობას, თავისი თოფ-ზარბაზნების ხმაც შეუერთა მსოფლიო ომის ქარტეხილს. გაუღიმა კიდეც ბედმა. ანტანტამ გაიმარჯვა და გაამაყებული საბერძნეთიც შეესია ღონე მიხდილ და სისხლ დაცლილ ოსმალეთს. წაართვა მას მთელი რიგი პროვინციებისა (რომელზედაც უკვე წინად ის აცხადებდა პრეტენზიებს) მაგრამ ამას კიდევ არ დასჯერდა და მოინდომა მთელი ოსმალეთის დაპყრობაც კი... მაგრამ ოსმალეთის ფართო მასსამ მოიკრიბა უკანასკნელი ძალღონე და მთელი თავისი სისასტიკით წინ აღუდგა გათავხედებულ ანტანტის ფინიებს ბერძნებს.

შედეგები ვიცით.

სასტიკათ დამარცხებული საბერძნეთი გარეკეს მცირე აზიის ტერიტორიებიდან, და ეგეის ზღვის იქით გადაყარეს.

ოსმალეთი ამასაც არ სჯერდება.

ის მოითხოვს რათა სტამბოლიც, ფრაკია და ანდრიანოპოლიც დაცლილ იქმნან ბერძნებისგან და მას შეუერთდეს.

ამ მიზანს ის კიდეც აღწევს. მაგრამ საკითხავია რა ხდება ეხლა თვით საბერძნეთში.

საბერძნეთმა უამრავი მსხვერპლი, როგორც ადამიანთა, ისე ხარჯების მხრივ გაიღო ჯერ მსოფლიო ომისთვის და შემდეგ ოსმალეთის დასაპყრობათ.

ამან კი დასცა მისი ეკონომიური კეთილდღეობა და ხალხი გადატაკებამდის მიიყვანა.

უკანასკნელმა კატასტროფებმა, ხომ სავსებით გაუვსეს მოთმინების ფიალა, როგორც მცხოვრებლებს, ისე ჯარებსაც რომლებიც მუშებისგან და გლეხებისაგან შედგება და აი, ისინი დარწმუნდნენ რა, მისი მთავრობის და მეფე კონსტანტინეს დამღუპველი პოლიტიკაში, რომელმაც ტყვილა უბრალოთ დვარა მათი სისხლი და გაუფლანგა დიდძალი სიმდიდრე, აღიმაღლა ხმა და მოითხოვს მთავრობის რეოგანიზაცია-განახლებას.

უკანასკნელი დეპეშები გვეღაპარაკებიან ანდრიანოპოლში, ათინაში და თვით კრეისერებზე მომხდარ აჯანყებებზე, რომლებიც ეწყობიან კომუნისტური დროშების და ლოზუნგების ქვეშ. ეს კი იმის მღაღადებელია, რომ საბერძნეთის არმია და მშრომელი მასსა, უკვე მიხვდა მათი მთავრობის მუხანათობას და მოღალატურ პოლიტიკას და მისი თავიდან მოშორებით სურთ თვითონ მოკიდონ ხელი სახელმწიფოს მართვა გამგეობას, და მესაჭეობას. ეს კი ერთად ერთი გზაა, რომელიც გამოიყვანს დღევანდელ განადგურებულ საბერძნეთს იმ ჩიხიდან, რომელშიც ჩააგდო როგორც ერთი მხრივ იმპერიალისტურმა ანტანტამ ისე მეორე მხრივ მისმა მთავრობამ მეფე კონსტანტინეს მეთაურობისა.

გაუმარჯოს თავისუფლებისათვის მებრძოლ საბერძნეთის აჯანყებულებს.

გაუმარჯოს კომუნისტურ მოძრაობას მათში.

პანი.

სასურსათო გადასახადი და კოოპერაცია.

როგორც სასურსათო სახალხო კომისარიატის ცნობიდან სჩანს, სულ დღემდე შეკრებილია სასურსათო გადასახადი აღმოსავლეთ საქართველოში 260. 614 ფუთი ხორბლეული იმ დროს როცა უნდა შეკრებილიყო 585,000 ფუთი.

ამ რიგათ, ჩვენ გვაქვს უკვე შეკრებილი თითქმის ნახევარი იმისა, რაც უნდა შეკრებილი ყოფილიყო.

ცნობებით სჩანს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მაზრები ყველა ერთ სიმაღლეზე არ დგანან სასურსათო გადასახადის გადახდის მხრივ.

ამ ათიოდე მაზრაში პირველ რიგში დგას თელავის და გორის მაზრა, რომელთაც შეასრულეს 82 პრ.—ზე მეტი დავალება სახალხო სასურსათო კომისარიატის.

საშუალო, რიგში არიან შემდეგი მაზრები: დუშეთის, ახალციხის, სიღნაღის, თბილისის და სამხრეთ ოსეთის.

დაბოლოს ძლიერ ცუდათ დგას, სასურსათო გადასახადის აკრების საქმე, თიანეთის და ბორჩალოს მაზრებში, სადაც პროცენტულად აკრების რაოდენობა გამოიხატება 18 პრ. —ში

რაშია საქმე?!

ნუთუ ასეთი განსხვავება მაზრებში დასაშვებია სასურსათო გადასახადის მხრივ, თუ თელავის მაზრამ შესძლო 82 პრ, შეკრება და კიდევ მეტის; რატომ თიანეთს ბორჩალოს და სხვა მაზრებს არ შეეძლო შეესრულებინა ნახევარი მაინც, იმ დავალებისა, რომელიც მას ჰქონდა მიღებული სასურსათო სახალხო კომისარიატისაგან, მით უმეტეს, რომ ეს მაზრები გორის და თელავის მაზრას არ ჩამოუვარდება მიწის სინოყივრეში და ითვლება მათი მეზობელ მაზრებად?!

როგორც ვხედავთ მიზეზი არც გადამხდელები ყოფილან, ამ მხრივ საქმე ყველგან კარგათ არის. მცხოვრებნი სასურ. გადასახადს არც ერთ მაზრაში არ გაურბის. მთავარ მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის, რომ აღნიშნულ მაზრებში არ იყო დროზე შემდგარი სასურსათო გადასახადის ამკრები კომპანიები. სადაც ეს უკანასკნელი თავის დროზე შეუდგა საქმეს, ჩვენ ვხედავთ, რომ კარგს შედეგებსაც მიაღწია მაგ. გორის და თელავის მაზრება,

ამავე დროს სუსტ მაზრებში არც ადგილობრივ აღმასკომებს მიუღიათ სათანადო ზომები.

მეორე მხრით, დღეს აღმოსავლეთ საქართველოში იყიდება ხორბლეულობა კერძო პირებზე სპეკულიანტებზე, რაც ყოვლად დაუშვებელია. ჩვენ ვიცით გამოცდილებით, რომ თუ ის მთელ მოსავლის, რომელიც გლეხს გადარჩება და უნდა გაყიდოს ჩაუვარდა სპეკულიანტებს ხელში, უსათუოდ მოხდება დიდი არევ დარევა სახელმწიფოს პურის მარაგის საქმეში. დაუყოვნებლივ უნდა იქნას მიღებული ზომები, არც ერთი ფუთი პური არ იქნას გაყიდული სპეკულიანტებზე.

ამ მხრივ უნდა ვისარგებლოდ კოოპერაციით, რომელიც თითქმის ყველა მაზრების ყოველ კუთხეშია. კოპერაციის საშუალებით ეს სოფლის ზედმეტი პური შეძენილ უნდა იქნას. ჩვენი კოპერატივები ამის გარდა, დღემდის ყველაფერს ეწეოდნენ. დღეს ეს უნდა დაისახონ პირველ და აუცილებელ საკითხად.

საქმე დაყოვნებას არ ითმენს..

ი მეგრელიძე

დღევანდელი ცნობები

— **25 სექტემბერს იაპონიის კონფერენციიდან რუსეთის დელეგაცია იოფეს მეთაურობით დაბრუნდა პეკინში.**

— 8 **საათის სამუშაო დღისთვის ბრძოლა** საფრანგეთში ღებულობს **მწვავე ხასიათს. მარსელის** გაფიცვა გათავდა მწარმოებელთა დამარცხებით **რომელთაც მოაწერეს ხელი 8** საათის სამუშაო დღის დაცვაზე საფრანგეთის რკინის გზის მომუშავენი **ემზადებიან** ამავე ბრძოლისათვის ბელგიის **რკინის გზელებმა გამოაცხადეს** თავიანთი სოლიდარობა საფრანგეთის რკინის **გზელებთან.**

— **24 სექტემბერს სტოკოლმში** გაიხსნა შვეციის მელითონეთა ყრილობა. ყრილობაში მონაწილეობს 200 დელეგატი მათ შორის არის ორი რუსი **დელეგატიც.**

— **პოლონეთში,. პოზნანში გვალვისა** და შემდეგ განუწყვეტელ წვიმების **გამო მოსავალი გაფუჭებულია.** იქნება საშუალოზე ნაკლები, სასოფლო **მეურნეობის მუშების გაფიცვის გამო,** არ **ხერხდება** მოსავლის აკრეფა. ეს **უქადის დანგრევას მთელი მხრის** ფინანსიურ და ეკონომიურ მდგომარეობას.

— **ვარშავის სასამართლომ გაამტყუნა** მეპრეხი როზენკრანცი და სერგეი **ვორონიჩოვი მასში რომ** ისინი ეკუთვნიან კომუნისტურ პარტიას და მიუსაჯა **როზენკრანცს** 3 წლის ციხე მხოლოდ ვორონიჩოვი გაანთავისუფლეს **დამამტკიცებელ საბუთების უქონლობის** გამო.

— **1922 წლის პირველ მეოთხედში** გერმანიიდან საქონლის შეტანა **უდრის 142 მილიარდი** მარკის ღირებულებას, გატანა კი 130 მილიარდ მარკას **შემოტანილი** საქონელია: თუთუნი 21,2 მილიარდი მარკის, ყავა 11,2 მილ. ხილი 1 მილიარ და 200 მილიონი მარკის.

ახლო აღმოსავლეთის ამბები.

— საფრანგეთის და ინგლისის კაბინეტები იხილავენ შეთანხმების პირობებს რომლის თანახმად ოსმალეთს გადაეცემა სტამბოლი, აღმოსავლეთი ფრაკია და ანდრიანოპოლი; სრუტეების ინტერნაციონალიზაციის, სტამბოლში მოკავშირეთა ძალების დარჩენის და ნაციონალურ უმცირესობათა ინტერესების გარანტიების პირობით, თუ კი პროექტი მიღებული იქმნა ორივე კაბინეტის მიერ სახავთ კონფერენცია მოწვეული იქნება 30 სექტემბერს.

— გუშინ ბრიტანეთის გენერალი შატელიკახტი შეხვდა ოსმალეთის წარმომადგენელს რათა დაარწმუნოს უკანასკნელი რომ საჭიროა ნებაყოფლობით ოსმალეთის ჯარების გაყვანა ნეიტრალურ ზონიდან. ცნობა ქემალის გადაწყვეტილებაზე ამ საკითხის შესახებ ჯერ არ არის მიღებული.

— საფრანგეთის მთავრობამ გაუგზავნა ქემალს რადიო თხოვნით, რომ თავი შეიკავოს გამოსვლებისგან, საფრანგეთის სპეციალურ კომისარის ბუიონის მისვლამდე.

— პუანკარესთან შეხვედრის შემდეგ ბუიონი გაემგზავრა ისმიდში ქემალთან შესახვედრათ. ბუიონს განზრახვა აქვს წინადადება მისცეს ქემალს დათანხმდეს სრუტეებზე ოსმალეთის სუვერენიტეტის განსაზღვრაზე და ანდრიანოპოლის ოსმალეთისთვის დაბრუნებაზე იმ შემთხვევაში თუ ოსმალეთი არ მიიღებს ამ წინადადებას, საფრანგეთი დადგება ინგლისის მხარეზე. პარიზში გაფაციცებით თვალყურს ადევნებენ თუ როგორ პოზიციას დაადგება ამ საკითხში რუსეთი.

— მოკავშირეებმა გაუგზავნეს ქემალს კონფერენციაზე მოწვევის წინადადება. მოწვევა გაეგზავნა ანგორის და სტამბოლის მთავრობებს.

— ლონდონში გაიმართა მუშათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეპუტაციის საუბარი ლოიდჯორჯთან მუშათა წარმომადგენლებმა განუცხადეს პრემიერს, რომ ისინი მიზანშეწონილათ სთვლიან, რომ ინგლისის ჯარის კაცმა იბრძოლოს ოსმალეთის ან საბერძნეთისთვის.

— ამხ. რადეკი ,,პრავდას'' მოწინავეში სწერს, რომ ნამდვილი სვლა ახლო აღმოსავლეთის ამბების—არის გაგძელებული მწვავე კრიზისი, ვინაიდან საფრანგეთი გდაჭრილად არ წავა ინგლისის წინაამდეგ. მეორე მხრივ სრულიად გასაკთრებული სურვილები ინგლისის, ქმნის მთელი რიგ ხალხებისთვის აუტანელ მდგომარეობას, საბჭოთა მთვრობას არ შეუძლია დაუშვას, რომ საკითხის გადაწყვეტა მოხდეს უიმისოთ

—სამხრეთ სლავია ძალიან შეფიქრიანებულია, ანტანტის გადაწყვეტილებაზე. რომ თრაკია და ანდრიანოპოლი დაუბრუნდეს ოსმალეთს-

—„ჩიკაგო ტრიბუნი" იტყობინება, რომ ქემალმა უარყო, საფრანგეთის ფრაკიაზე პროტექტორატის პროექტი.

—„ჩიკაგო ტრიბუნი" იტყობინება რომ საბერძნეთის საბოეტმა მიმართა იენეზილოს თხოვნით მთელ საბერძნეთის სახელით, რათა მოვიდეს დასახმარებლათ. და ემსახუროს განსაცდელში მყოფ მამულს.



მივიწყებულ ლეგიონში.

(„რამდენიც უნდა სწერონ" მისი სიტყვებიდან).

რიგში დამდგარან ფულისთვის
აქ მსახურები;
მარა ვერ ბედვენ შიგ შესვლას
შიშ—ნახსურები...

ახა ვისა აქვს გასატეხი
თავი ან ტვინი?
ანუ ვის უნდა დაატყდეს
გოროვა—ქვითინი?!

ძნელია ოდეს გაბრაზებულს
მიუახლოვდე.
ვაი თუ შენი „გულის წყრომა"
„იმას" ახსოვდეს?!

მუშტის აქნევით ჰყვიროდა:
„ვ პოდ სუდ ოტდამ ის!
სატანა სწერს ამასა თუ
შვილი ადამის?!"

და დამშვიდებით კითხულობს
მეორე იქ სხვა...
„ნუ ჯავრობ, რა ვქნათ" ეუბნება
„არ ვარგა რისხვა."

ასეა, ოდეს თავის დროზე
არ მისცემ ყველას.
ნუღარ მოელი ნაურვისგან
სიფხარს და შველას.

კაური.



ჩვენს წითელ ჯარში

ცალკე სამოსწავლო ესკადრონი.

ა. წ. 14 ენკენისთვეს შედგა ცალკე სამოსწავლო ცხენოსან ესკადრონის საერთო კრება, რომელსაც დაესწრო ყველა წით. არმიელები და პოლიტშემადგენლობა უფშემადგელობის გამოკლებით.

დღის წესრიგში იყო საკითხები: ა) საკანტროლო კომისიის მოხსენება, ბ) პოლიტგანმანათლებელ კოსისიის მნიშვნელობა და მისი არჩევნები. პირველი საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა საკონტროლო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ღიბრაძემ, რის შემდეგ ყველა წითელ-არმიელებს მიეცა საშუალება თავიანთ აზრის გამოთქმისა. აზრის გაცვლა-გამოცვლის შემდეგ დადგენილ იქმნა ძველი საკანტროლო კომისიის გადაყენება. ახალ კომისიაში აირჩიეს: ა) პოლიტხელმძღვანელი ამხ. ფანცულაია, ბ) წ. არმ. ამხ. ხარბედია, გ) წ. არმ. ჰყოიძე. კანდიდატებად: ქავჭავაძე და გაბუნია.

შემდეგ ამისა პოლიტგანმანათლებელ კომისიის მნიშვნელობის შესახებ მოხსენება გააკეთა სამხკომმა ბუაჩიძემ. მოხსენება საინტერესო იყო და ყურადღებით იქმნა მოსმენილი. დასასრულ მოხდა პოლიტგანმანათლებელ კომისიის წევრთა არჩევნები. არჩეულ იქმნა 7 კაცი, როგორც წითელ არმიელთაგან ისე უფშემადგენლობისაგან, რის შემდეგ კრება დაიხურა.

გ. ძ.

ნუ ჩამოგვარჩენთ·

№ ლეგიონის აქ დარჩენილი წით. არმიელები ამ ბოლო დროს ჩამორჩენილი ვართ გასართობებს. წითელ არმიელთა კლუბში ღარც წარმოდგ. გვიშვებენ ღარც კინოში. ვერ გავიგეთ რატომ. წინად ამხ. გ. ო—ძეს მოჰქონდა ხოლმე ბილეთები ჩვენთვის ცენტრალურ კლუბიდან და ეხლა არ ვიცით რატომ აღარ მოაქვს. მას წით. არმ. მოწმობებით შეგვიშვებენ გვეთხრა მაგრამ იქ ტყვილადაც არ შეგვახედეს.

საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს ვისგანაც ჯერ არს და ბილეთები გამოგვეგზავნოს, რომ ჩვენც შეგვეძლოს თავისუფლად შესვლა ჩვენს ოჯახში.

ამას არ აქცევს ყურადღებას არც კულტგანკომის თავმჯდომარე. საჭიროა მიიღებდეს ზომებს ამხ. ა. ქ—ვა.

2-რე გ. სამხკორი: შ. მახარაძე.

ძირითადი სამოსწავლო ესკადრონი

ძირითად სამოსწავლო ესკადრონი, უწინ წარმოადგენდა ქართულ ცხენოსან ბრიგადას. შემდეგ ის გადაკეთდა ლეგიონად და რამოდენიმე ხნის შემდეგ ისე შემცირდა, რომ ლეგიონი გახდა მხოლოდ ერთ ძირითად სამოსწავლო ესკადრონათ, რის გამო ამხ. წითელ არმიელები და ესკადრონის უფშემადგენლობა ძალიან შეწუხებული და გულ ნატკენი იყო, მაგრამ უეცრად მოგვივიდა ცნობა, რომ ხელი მოაწერეს ქართულ ცხენოსან ლეგიონის შტატს. ამ ამბავმა ძლიერ გამოაცოცხლა ჩვენი ესკადრონის წითელ არმიელები, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ საქართველოში შედგება ისეთივე მძლავრი წითელი ჯარი, როგორიც არის რუსეთის არმიის ნაწილები, რათა საქართველოს საჭიროების დროს ღირსეულად პასუხი გასცეს კომუნისტურ რევოლუციის მტრებს, და ამაყათ ააფრიალოს წითელი დროშა.

წ.-არ. ქარხნისშვილი.

ტფილისის მთავარ ჰოსპიტლის ცხოვრებიდან.

ჰოსპიტლის თანამშრომელთა უმრავლესობა აქ რუსებია, უნდა აღვნიშნოთ ავადმყოფებს კარგი მოვლა-პატრონობა აქვთ. აქ არსებობს კულტურულ-განმანათლებელი ორგანოებიც, მაგალითად: სამკითხველო, ბიბლიოთეკა, კლუბი. უკანასკნელში ყოველდღე იმართება ან წარმოდგენა, ან საუბარი და ლექციები ეწყობა. მაგრამ დღემდე ამ კლუბის წარმოდგენებით და ლექციებით სარგებლობა სამწუხაროთ ქართველ წითელ არმიელებს არ შეეძლო, ვინაიდან სწარმოებდა მხოლოდ რუსულ ენაზე. სექტემბრიდან აქ დაინიშნა ქართველი პოლიტხელმძღვანელი, რომელიც ენერგიულათ შეუდგა საქმეს. ჯერ-ჯერობით მოაგვარა ქართული გაზეთების მიღების საქმე და გვპირდება, მოაწყობს ქართულ ბიბლიოთეკას და გამართოს ქართულ წარმოდგენებს რაც ასე სასურველი და აუცილებელია.

ავადმყოფი.

ოფიციალური განყოფილება

ბრძანება ქ. თბილისის და მისი მაზრის სამხედრო კომისარიატის მიმართ.

„21" სექტემბერი 1922 წ.

№ 265

§ 3

ახალ-მომავალში ქ. თბილისში მუშტაიდის დიდ მოედანზე დანიშნულია საყოველთაო სამხედრო სწავლების 1-2-3 სკოლების წვევამდელების საერთო მეცადინეობა იმის გამოსარკვევად, თუ რამდენათ ნაყოფიერად მიდის აღნიშნულ სკოლებში მუშაობა, ამისთვის უკანასკნელად ვბრძანებ:

ყველა წევამდელები დაბადებულნი 1901 წ. რომლებიც არ არიან გამოცხადებულნი ჩემდამი რწმუნებულ კომისარიატში და არა აქვთ მიღებული, როგორც სააღრიცხო ბარათები და წიგნაკები, დაუყოვნებლივ გამოცხადნენ და ვისაც კი ასეთები აქვს მიღებული, სისტემატიურად არ დადიან სამეცადინოდ, ყოველ მიზეზის გარეშე განაგრძონ მეცადინეობა ბრძანების გამოცხადების დღიდგან სამი დღის განმავლობაში.

§ 4

საყოველთაო სამხედრო სწავლების სკოლებთან არსებულ დეზერტირობასთან წინაამდეგ ბრძოლის კომისიას, პოლიტ-ხელმძღვანელებს და სკოლის უფროსებს ვუბრძანებ მიიღონ სათანადო ზომები, რათა ამ დღისათვის იქმნენ მომზადებულნი საჭიროებისამებრ.

§ 5

უბრძანებ სკოლის უფროსებს, რათა წარმოადგინონ სია იმ წვევამდელების, რომლებიც ჰყავთ აღრიცხვაზე (სია) და სისტემატიურად არ ესწრებიან მაცადინეობას.

§ 6

ყველა ქ. თბილისის სახლის პატრონებს ევალებათ სასტიკ პასუხის მგებლობის ქვეშ, ის წვევამდელები, რომლებიც არიან დაბადებულნი 1901 წელში და ხელზედ არა აქვთ სათანადო წიგნაკები, სია მათი წარუდგინონ რაიონის მილიციის უფროსს ან და სამხედრო რწმუნებულს ამ ბრძანების გამოქვეყნების 5-დღის განმავლობაში. ვის ბინაზედაც ასეთები აღმოჩნდება აღძრული იქნება შუამდგომლობა, როგორც ბინის პატრონი, აგრეთვე თვით-მშობლის პასუხის გებაში მისაცემად, როგორც დეზერტირის დამფარველის, რაზედაც რაიონის მილიციის უფროსებს ევალებათ გაუწიონ ამ საქმეში ენერგიული დახმარება.

ქ. თბილ. და მისი მაზრ. სამხედრო
კომისარი **გრ. კობიძე**

პასუხად ჩვენს პოეტებს

დათიკო ბიბილიშვილს. თქვენი ლექსები სუსტია; არ დაიბეჭდება არაა დაწყობილი აკლია ენის ცოდნა თქვენი გამარჯვება სწავლის გაგრძელებაშია.

ნ. კამკამიძეს. თქვენი თხოვნისამებრ ნიშნებს კი დაუსვამდით, მაგრამ არ ვარგა. ხაზები არ გამოგრჩეთო, ამბობთ, რომელ ხაზებზე გვითითებთ? არ დაიბეჭდება. ეცადეთ დასწეროთ უკეთესი.

შორეულს. ძალიან სუსტია, არ დაიბეჭდება.

ერადას. თქვენი ლექსი: „ჩემი სურვილი" არ დაიბეჭდება. იგი არ შეშვენის ჩვენი გაზეთის ფურცლებს. თქვენ ამბობთ:

„ინდა, ფრინდა გადაფრინდა,
თეკლე, მე შენისთანა გოგო მინდა,
რომა თოფი გამიწმინდოს
რომა თოფი გამიწმინდოს."

კარგია თუ კი გეყოლებათ ისეთი „სულიკო" რომელიც გაგიწმენდავს, მაგრამ ჩვენს გაზეთს კი გასვრის. ანუ კიდევ: „აქედანა გავქეცი, იმას კალთაში ჩავიქეციო" ამბობთ. ჩვენ კი გვინდა ამ გზაზე „არ წავიქცეთ" მოგვაწოდეთ მხედრული ლექსები.

შტაბელს. სამართლიანი თქვენი შენიშვნა. ვიქონიებთ მხედველობაში.

ნება დართულია სამხედრო ცენზურისაგან. რედაქტორი პ. ქუთათელაძე.